

შპს ინექს გრუპი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შპს „ინექს გრუპი“ (ს/კ 400010572)კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<i>აქტივი</i>	<i>2020 წელი</i>	<i>2019 წელი</i>	<i>2018წელი</i>
<u>მიმდინარე აქტივები</u>			
ფულადი საშუალებები	398 832	420,407	157,558.00
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	627 567	768,824	370,745.00
მოძღვრებლებზე გადახდილი ავანსები	51 129	31,315	13,309.00
გაცემული სესხები	350 060		
საგადასახადო აქტივი	256 520	157,048	228,576.00
სხვა მიმდინარე აქტივები	43 121	116,722	19
საქონელი	156 371	7,993	5,340.00
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>	<u>1 883 599</u>	<u>1,502,307.88</u>	<u>775,547.00</u>
<u>გრძელვადიანი აქტივები</u>		-	
ძირითადი საშუალება	2 096 384	1,126,859	1,001,721.00
არამატერიალური აქტივი	4 023	4,172	4,616.00
ინვესტიცია შვილობის საწარმოში	101 722	116,722	100,000.00
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>	<u>2 202 130</u>	<u>1,247,752</u>	<u>1,106,337.00</u>
<u>სულ აქტივები</u>	<u>4 085 729</u>	<u>2,750,060</u>	<u>1,881,884.00</u>
<u>ვალდებულებები</u>			
<u>მიმდინარე ვალდებულებები</u>			
მოწოდებიდან და მომსახურებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	465 750	888,720	873,722.00
სესხები	225 000	205,000	146,168.00
სხვა მიმდინარე ვალდებულება	1 555 856	12,544	
<u>სულ ვალდებულებები</u>	<u>2 246 606</u>	<u>1,106,264</u>	<u>1,019,890.00</u>
<u>კაპიტალი</u>			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	720 877	724,250	709,250.00
გაცემული დივიდენდი	-521 176	-	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2 253 540	1,288,775	189,835.00
კაპიტალის ცვლილება	- 614 118	- 375,294.00	
<u>სულ კაპიტალი</u>	<u>1 839 124</u>	<u>1,637,731</u>	<u>899,085.00</u>
<u>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</u>	<u>4 085 729</u>	<u>2,743,995</u>	<u>1,918,975.00</u>
არამაკონტროლებელი წილი	-	6 065	-37,091
სულ კაპიტალი	<u>4 085 729</u>	<u>2,750,060</u>	<u>1,881,884.00</u>

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:

შპს ინექს გრუპის დირექტორი

/ გიორგი კაპანაძე /

მთ. ბუღალტერი

/ ნინო აბრამიძე /

შპს „ინექს გრუპი“ 400010572 კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშნ ვნა	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
ამონაგები		12163183.83	<u>9 620 405</u>	<u>4 006 914</u>
არასაოპერაციო შემოსავალი			=	=
სულ შემოსავალი		<u>12 163 184</u>	<u>9 620 405</u>	<u>4 006 914</u>
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-397091	- <u>340 948</u>	- <u>1 817 369</u>
პერსონალის ხარჯი		-1716416	- 1 633 680	
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		-3333	- 6 227	- 151 261
იჯარის ხარჯი		-520598	- 385 914	
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		-6998855	- 4 549 871	
ცვეთა და ამორტიზაცია		-81689	- 62 614	
ადმინისტრაციული ხარჯი		-1232812	-1430980.49	-1 632 356
სხვა საოპერაციო ხარჯი		-144337	-67611.71	-143 120
სხვა ფინანსური დანახარჯი				
სულ ხარჯი		<u>-10698041</u>	<u>- 8 136 897</u>	<u>- 1 926 737</u>
საოპერაციო მოგება		<u>1068052</u>	<u>1 142 560</u>	<u>262 808</u>
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი		27 834	98 440	-25 766
სხვა ფინანსური ხარჯი			- 223 770	-16 582
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		1 823	0	-26 454
მოგება დაბეგვრამდე		<u>1 097 709</u>	<u>1 017 230</u>	<u>194 006</u>
მოგების გადასახადი		23 683	2 552	-
მოგება		<u>1 074 027</u>	<u>1 014 678</u>	<u>194 006</u>

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 15 სექტემბერს:

შპს ინექს გრუპის დირექტორი

/ გიორგი კაპანაძე /

მთ. ბუღალტერი

/ ნინო აბრამიძე /

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ინექს გრუპი 2010 წლის 29 ოქტომბერს დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსების დღიდან დღემდე აწარმოებს ამანათების (საფოსტო გზავნილების) მომსახურებას; როგორც ამანათების საზღვარგარეთიდან საქართველოში გამოგზავნას და მომხმარებელამდე მიტანის მომსახურებას, ასევე საქართველოდან საზღვარგარეთ გაგზავნის მომსახურებას.

საქართველოში დაფუძნებული და დარეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ინექს გრუპის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, მეტროს სადგურ “ახმეტელის თეატრის” მიმდებარე ტერიტორია, ნაგებობა №1, სართული 1.

კომპანიის დამფუძნებელია:

- შპს გაერთიანებული საფინანსო ჯგუფი (ს/ნ 205022278) 85%-იანი წილით და
- ფიზიკური პირი ქეთევან ქართველიშვილი (პ/ნ 01025016519) 15%-იანი წილით.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 139 თანამშრომელს

1 შედგენის საფუძველი

1.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად).

1.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

1.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის

ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

1.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 0-ე შენიშვნაში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

- ✓ **მომზადების საფუძვლები.** მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ✓ **ფუნქციონალური ვალუტა.** კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას (ფუნქციონალური ვალუტა). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (ლარი). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.
- ✓ **ძირითადი საშუალებები.** ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება. გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც

განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

- ✓ **ცვეთა.** მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით.
- ✓ **მარაგები.** სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.
- ✓ **ფული და ფულის ექვივალენტები.** ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.
- ✓ **დივიდენდები.** დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.
- ✓ **დამატებითი ღირებულების გადასახადი.** გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე.
- ✓ **სესხები.** სესხები აღირიცხება თვითღირებულებით.
- ✓ **სავაჭრო და სხვა დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.
- ✓ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

31 დეკემბერი 2020

ლარი/1 აშშ დოლარი **3.2766**

ლარი/1 ევრო **4.0233**

- ✓ **შემოსავლის აღიარება.** შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

- ✓ კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს.
- ✓ **მოქმედი საწარმოს პრინციპი.** მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

4. ძირითადი საშუალებები

ლარი	შპს “ლაკი გრუპი”					სულ
	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწყობა	
თვითღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	27450	0	15689	43139
შემოსვლები	-	-	68	0	464	531
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	27518	0	16153	43671
2019 წლის ცვეთა	-	-	(12239)	0	(7639)	(19878)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-		-	
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	15278	0	8514	23792
შემოსავლა						
2020 წლის ცვეთა	-	-	(3059)		(1588)	(4647)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	0		(4983)	
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	12220	0	1943	14163

შპს ინექს გრუპი

დასახელება	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწყობა	სულ
თვითღირებულება	2 130	2 150	2160-2170	2 180	2 190	
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	469 801	39 546	96 899	268 767	103 411	978 424
შემოსვლები	0	4 646	36 099	110 885	40 160	191 790
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	469 801	44 192	132 998	379 652	143 571	1 170 214
2019 წლის ცვეთა	(8 990)	(4 707)	(10 407)	(27 185)	(11 212)	(62 501)

გასვლის შედეგად
ელიმინირება

**2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

შემოსვლები

**2020 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

2020 წლის ცვეთა

გასვლის შედეგად
ელიმინირება

**2020 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით**

-	-	-	-	-	-
460 811	39 485	122 590	352 468	132 359	1 107 713
1 371 043	22 456	56 414	25 406	0	1 475 318
1 831 854	61 942	179 004	377 873	132 359	2 583 031
(1 509)	(5 466)	(15 808)	(32 314)	(14 757)	(69 854)
(430 000)	0	0	0	0	
1 400 344	56 476	163 196	345 559	117 602	2 083 177

კონსოლიდირებული ძირითადი საშუალებები

დასახელება	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებე ბი	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	სულ
თვითღირებულება	2 130	2 150	2160-2170	2 180	2 190	
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	469 801	39 546	124 349	268 767	119 100	1 021 563
შემოსვლები	0	4 646	36 099	110 885	40 160	191 790
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	469 801	44 192	160 448	379 652	159 260	1 213 353
2019 წლის ცვეთა	(8 990)	(4 707)	(22 646)	(27 185)	(18 851)	(82 379)
გასვლის შედეგად ელიმინირება	0	0	0	0	0	
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	460 811	39 485	137 802	352 467	140 409	1 130 974
შემოსვლები	1 371 043	22 456	56 414	25 406	0	1 475 319
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 831 854	61 941	194 216	377 873	140 409	2 606 293
2020 წლის ცვეთა	(1 509)	(5 466)	(18 867)	(32 314)	(16 345)	(74 501)
გასვლის შედეგად ელიმინირება	(430 000)	0	0	0	(4 983)	
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 400 345	56 475	175 349	345 559	119 081	1 661 827

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2020 წელი	2019 წელი	2018წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	627 567	768 824	370 745
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	<u>627 567</u>	<u>768 824</u>	<u>370 745</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით რეალურ ღირებულებად

6. ფული და ფულის ექვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ა) შვილობილ კომპანიებში - შპს “ლაკი გრუპ” რომლის 50% წილის მფლობელია შპს ინექს გრუპი

	2018წ	2019წ	2020 წ
ფული ბანკში ლარი	13 296	7 567	17 373
ფული ბანკში უცხოური ვალუტა	8 637	12 996	1 335
ფული სალაროში	2 833	866	948
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	<u>24 766</u>	<u>21 429</u>	<u>19 656</u>

ბ) შპს ინექს გრუპის შვილობილ კომპანიას თურქეთის რესპუბლიკაში - INEX TURKEY ULUSLARARASI KARGO TASIMACILIK ANONIM SIRKETI. 2020 წლის ბოლოს ფული ბანკში უფიქსირდება 52107 ლარი

კონსოლიდირებული ფულადი ექვივალენტი

	31.12.2018	31.12.2019	31.12.2020
ფული ბანკში ლარი	81440	60821	33 575
ფული ბანკში უცხოური ვალუტა	57592	346208	357 719
ფული სალაროში	18401	5817	7 537
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	<u>157 433</u>	<u>412 846</u>	<u>398 832</u>

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2020 წელი	2019 წელი	2018წელი
სავაჭრო ვალდებულებები	465749.602	846,793.00	807598
სულ სავაჭრო ვალდებულებები	465749.602	<u>846,793</u>	<u>807,598</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით რეალურ ღირებულებად

8. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

მიუხედავად ამისა, კომპანია ამზადებდა გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას მშობელი კომპანიის კონსოლიდაციის მიზნებისთვის, რომელიც წინა წლებში წარმოადგენდა ფასს-ების მიხედვით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას, თავად კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდებში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ პინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*.

შენიშვნა 2.5-ში იხილეთ სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემული იყო, მაგრამ ჯერჯერობით არ იყო ეფექტური და არ გამოყენებულა ადრეულად კომპანიის მიერ.

9. კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, საწარმოთა გაეთიანებისას, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი ღირებულება აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, აღიარდება როგორც გუდვილი. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ჯგუფის წილზე, შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება პირდაპირ მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

10. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

11. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საერთო მოგების მარჯა გააგრძელებს ზრას და მიაღწევს განსაზღვრულ მნიშვნელობას. ეს ვარაუდი ეფუძნება კომპანიის ძლიერ საბაზრო პოზიციას.

12. გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია.

დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარებისა და გავლენის ცვალებადობასთან დაკავშირებით იქნება მეტი სიცხადე. დაუყოვნებლივ ქმედებად, კომპანიამ დაამტკიცა COVID-19-თან სამოქმედო გეგმა და ამ ეტაპისთვის უზრუნველყო ნედლეულის მიწოდება, წარმოების პროცესის გაგრძელება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მკაცრი პროცედურების დაცვით და განაგრძო საქონლის მიწოდება საზღვარგარეთ არსებული მომხმარებლებისთვის. ზოგადად, სურსათის გადამამუშავებელმა ინდუსტრიამ რეგიონის მასშტაბით შეძლო ბიზნესის პროცესების გაგრძელება. ევროკავშირის წევრი ქვეყნის მთავრობები (კომპანიის პროდუქციის რეალიზაციის მთავარი ბაზარი) ცდილობენ შეინარჩუნონ კვების მიწოდების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

- ✓ საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა _ ლარი;
- ✓ მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის _ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, რაც გათვალისწინებულია საწარმოს ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში.
- ✓ საწარმოს წინა საანგარიშო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და `ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ` საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.
- ✓ მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი შეეხო მხოლოდ საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებას, რაც დაექვემდებარა საკუთარი კაპიტალის კატეგორიაში აღიარებას.
- ✓ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადრისობის პრინციპიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეტანილია წინა საანგარიშგებო პერიოდის _ ფინანსური ინფორმაცია.
- ✓ საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

შპს „ინექს გრუპის“ დირექტორი

/ გიორგი კაპანაძე /

მთ. ბუღალტერი

/ ნინო აბრამიძე /